პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 208 (7769)
31 ოქტომბერი,
ოთხშაბათი,
1984 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 8 კაპ.

რანი ვიქნებით ხვალ

კიდევ ორი თვე და 1984 წელიც ისტორიის კუთვნილება გახდება. როგორც იტყვიან, ფიქრისა და განსჯის ჟამი დგება — ყველა მიხვალ-მიხვალ აწონის და გაზომავს ამა თუ იმ კეთილ საქმეზე დახარჯულ შრომას და მოწეულ მოსავალს. ბევრი სიამოვნებით მიითვლის თავისი გარჯის ნაყოფს, ზოგსაც დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გაუჩნდება...

სპორტული შეჯიბრებებითაც მდიდარი და შთამბეჭდავი იყო მიმავალი წელი. ქართველ სპორტსმენთა არაერთი სახელოვანი გამარჯვება აღიბეჭდა ჩვენს მეხსიერებაში, ზოგი მათგანის სახელი კი სამუდამოდ ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული სპორტის მატიანეში.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ის შეჯიბრება იყო, რომელიც შესაძლოა წლევანდელი წლის სავიზიტო ბარათადაც გამოდგეს. რა გასაკვირია — ბავშვები ჩვენი ცხოვრების დღენათელია, მათი ყოველი ნაბიჯი საზოგადოების ერთი, თამამად შეიძლება ითქვას, ყველაზე საგულისხმო მოვლენაა. სპარტაკიადის არსი და მნიშვნელობა მოკლედ და ხატოვნად შესაძლოა ასეც გამოიხატოს: ეს იყო შეჯიბრება, რომელმაც დაგვანახა, თუ რანი ვიქნებით ხვალ.

განა შეიძლება გულგრილი იყო ასე და ამგვარად დასმული კითხვის წინაშე? ამით აიხსნება ის ყურადღება, რომელსაც ჩვენი საზოგადოებრიობა ამჟღავნებდა ნორჩთა დიდი ასპარეზობის მიმართ, ის გამორჩეული გულისხმიერებაც, რომელიც რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ორგანოებმა, განათლების სამინისტრომ, რესპუბლიკის სპორტკომიტეტმა და საქართველოს პროფსაბჭომ გამოიჩინეს.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის დამთავრებიდან თვეზე მეტი გავიდა. ჩვენი სიჭაბუკის დიდმა ასპარეზობამ ბევრი საფიქრალ-საზრუნავი გაუჩინა მწვრთნელებსა და სპეციალისტებს, სპორტის მესვეურებს, განათლების სამინისტროს მუშაკებს.

სპარტაკიადისადმი მზადების ხელმძღვანელების საორგანიზაციო კომიტეტი დღეს განიხილავს ტაშკენტის ასპარეზობებში მონაწილეობის შედეგებს, ხვალ კი თბილისის ჭადრაკის სასახლეში შედგება განათლების სამინისტროს, რესპუბლიკის სპორტკომიტეტის, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს დოსააფის ცენტრალური კომიტეტის გაფართოებული კოლეგია. მასზე იქნება ფიქრიანი ანალიზი, ცხარე დავა-კამათი, ობიექტური მსჯელობა და, რაც მთავარია, იმ სწორი გზის გამოკვეთის ცდა, რომელიც საბოლოოდ დაგვაღწევინებს თავს არასახარბიელო მდგომარეობიდან და ქართული სპორტის არცთუ შორეული წარსულის სახელოვანი ტრადიციების დაბრუნებაში მოგვეხმარება.

ჟამი ფიქრისა ჟამი განსჯისა

ყველა გამარჯვებას ერთი „საიდუმლო" აქვს ...

ახლა, როცა უკვე დაცხრა მოსწავლეთა XVII საკავშირო სპარტაკიადასთან დაკავშირებული ვნებათაღელვა, როცა გვმართებს დინჯი მსჯელობა გარდასულ ბატალიებზე, თანდათან ნათელი ხდება, თუ რა ფიზიკური და ნერვული დაძაბვის ფასად დაუჯდათ ჩვენს მოჭადრაკეებს მოპოვებული „ვერცხლი". თავად განსაჯეთ, საქართველოს გუნდმა უკან ჩამოიტოვა ისეთი გრანდები, ისეთი საჭადრაკო ცენტრები, როგორიცაა მოსკოვი, რსფსრ, უკრაინა, ლენინგრადი და სხვ. მაგრამ საოცარია ის, რომ წინ უზბეკეთის არცთუ ძლიერი გუნდი გავუშვით. დიახ, სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა კოლექტივი, რომელმაც სამჯერ იწვნია მარცხი შეჯიბრებაში, მაშინ, როცა იგივე უკრაინის ნაკრები მხოლოდ ერთხელ დაუზავდა თავის მეტოქეს, სხვა შეხვედრები კი მოიგო... რას ვიზამთ, სპორტი მრავალუცნობიან განტოლებას ჰგავს, კაცმა არ იცის, სად ვინ, როგორ, რატომ ამოტივტივდება ან ჩაიძირება. ერთი კია, ამ განტოლების ამოხსნა მხოლოდ ძლიერთა შორის ძლიერთ ძალუძთ, აი, ამიტომ გახლავთ საამაყო ჩვენი ნორჩი მოჭადრაკეების მიერ უშეღავათო ბრძოლაში, უდიდესი ნერვული და ფიზიკური დაძაბვის ფასად მოპოვებული ვერცხლის მედლები.

გამარჯვებულ სპორტსმენებს რეპორტიორები ხშირად ასე ეკითხებიან: გვითხარით თქვენი წარმატების საიდუმლო. ჩვენც ამ „საიდუმლოს" განდობა ვთხოვეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარ მწვრთნელს ჭადრაკში, საქართველოს სსრ დამსახურებულ მწვრთნელს, რესპუბლიკის მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის უფროსს სულიკო მეგრელიშვილს.

—საიდუმლოსი რა მოგახსენოთ, ისე, თუ მაგ რუბრიკისთვის ამზადებთ წერილს (იგულისხმება რუბრიკა „ჟამი ფიქრისა, ჟამი განსჯისა", რედ.), აჯობებს დაწვრილებით გავაანალიზოთ ჩვენს მიერ გაწეული მუშაობა და თვით სპარტაკიადის პერიპეტიებიც გავიხსენოთ.

სპარტაკიადისთვის მზადება ჯერ კიდევ 1981 წლის 22 ნოემბრიდან დავიწყეთ, როცა სოხუმში ჩატარდა საქართველოს პირადი პირველობა, რომლის შედეგების მიხედვითაც შეიქმნა ნაკრები გუნდის კონტური. შევადგინეთ მზადების პერსპექტიული გეგმა, რომელიც ორ ეტაპად დავყავით. პირველი ეტაპის (1982 წლის იანვრიდან 1984 წლის იანვრამდე) ძირითადი მიზანი იყო გუნდის სავარაუდო შემადგენლობის დადგენა, აგრეთვე, კანდიდატთა სტრატეგიული და ტექნიკური მომზადება (სხვადასხვა მიტელშპილებისა და ენდშპილების შესწავლა და სხვ.). ამ მიზ-

(დასასრული მე-2 გვ.).

სურათზე: საქართველოს მოსწავლე მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი (მარცხნიდან): გუნდის უფროსი სულიკო მეგრელიშვილი, ნუკრი მანაგაძე, ზვიჩა სუპატაშვილი, კობა შავგულიძე, ქეთევან კახიანი, თამაზ ტაბატაძე, ქეთევან არახამია, გივი გოგიჩაიშვილი, გიზო ჭურღულია, უფროსი მწვრთნელი ალექსანდრე იზვოზჩიკოვი, მწვრთნელი ალექსანდრე ბოკუჩავა.

მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში

მეთხუთმეტე ყაიმი

როგორც ვიუწყებოდით, 29 ოქტომბერს მოსკოვში შედგა კარპოვ — კასპაროვის მატჩის მეცხრამეტე პარტია, რომელიც 44-ე სვლაზე გადაიდო.

გაგაცნობთ ამ პარტიის მსვლელობას.

მეცხრამეტე პარტია

კარპოვი — კასპაროვი

ლაზიერის გამბიტი

1. მf3 d5 2. d4 მf6 3. c4 e6. 4. მc3 კe7 5. კg5 h6 6. კ:f6 კ:f6 7. ლd2 მc6 8. e3 0—0 9. ეc1 a6 10. კe2 dc 11. კ:c4 e5 12. d5 მa7 13. ლc2 მb5 14. მ:b5 ab 15. კb3 e4 16. მd4 კ:d4 17. ed c6 18. dc ლ:d4 19. 0—0 bc 20. ლ:c6 კd7 21. ლd5 ლ:d5 22. კ:d5 ეa6 23. ეfd1 კe6 24. a3 კ:d5 25. ე:d5 ეb8 26. ეd4 ეa4 27. ეcd1 ეc8 28. მფf1 ეc2 29. ე4d2 ე:d2 30. ე:d2 ეc4 31. მფe2 b4 32. მფd1 ba 33. ba ეa4 34. ეa2 f5 35. მფc2 f4 36. მფb3 ეd4 37. ეa1 მფf7 38. a4 e3 39. მფc3 ეd8 40. fe fe 41. ეe1 ეa8 42. მფb3 ეb8+ 43. მფc2 ეa8 44. ეf1+. პარტია გადაიდო.

კარპოვი თავიდანვე ბრძოლის გამწვავებას ცდილობდა. მე-7 სვლაზე ახალი გაგრძელება გამოიყენა, მე-12 სვლაზე კი პაიკის წინსვლით გაართულა პოზიცია. კასპაროვმა ალღო აუღო მსოფლიო ჩემპიონის ჩანაფიქრს და ცნობილი გზით შეეცადა თამაში გაემარტივებინა. საწადელს რომ ვერ მიაღწია, პაიკი შეწირა ინიციატივის მისაღებად. უკეთეს ენდშპილში გადასვლით კარპოვმა ადვილად მოიგერია მუქარა და თამაში ოთხი ეტლის, ბოლოს ორი ეტლის დაბოლოებაში გააგრძელა. კარპოვის კიდურ გამსვლელ პაიკს კასპაროვმა ცენტრალური პაიკების წინსვლა დაუპირისპირა. გამსვლელი პაიკები ამოძრავდნენ თუ არა, თამაშისთვის განკუთვნილი დროც ამოიწურა.

გუშინ...

ეს პარტია ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 4:0 (+4—0=15) ანატოლი კარპოვის სასარგებლოდ.

დღეს, 31 ოქტომბერს, მეოცე პარტია გაიმართება.

შოთა გამცემლიძის პრიზზე

ამ რამდენიმე დღის წინათ გიამბეთ თელავის კორტებზე გამართულ საქართველოს ღია პირველობაზე და ვეტერან ჩოგბურთელთა საკავშირო ტურნირზე. ახლა გვინდა ამ ქალაქში ჩატარებულ მოზარდთა საკავშირო შეჯიბრებაზე მოგითხროთ.

თელავის შესანიშნავ საჩოგბურთო სტადიონზე ვეტერანების თავდაჯერებული, დინჯი ორთაბრძოლები საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან ჩამოსული 180-მდე მოზარდის ტემპერამენტიანმა, ჟივილ-ხივილით სავსე პაექრობებმა შეცვალა. ოთხ ასაკობრივ ჯგუფად დაყოფილი ნორჩები საბჭოთა კავშირის გმირის, შოთა გამცემლიძის პრიზს ეცილებოდნენ ერთმანეთს.

ყველაზე უმცროს ბიჭებს შორის (ამ ასაკობრივ ჯგუფში 1975 წელს და უფრო გვიან დაბადებული ნორჩი სპორტსმენები გამოდიოდნენ) ყველას აჯობა თბილისის ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებული სპორტსკოლის აღსაზრდელმა ბექარ ძაგანიამ. მან ფინალში თანაქალაქელ მიხეილ მღებროვს სძლია — 6:2, 6:4. აქვე საკავშირო შეჯიბრებების დებიუტანტმა, 7 წლის თბილისელმა ჩოგბურთელმა ლევან გელაშვილმა რამდენიმე მასზე უფროსი მეტოქე დაამარცხა და მე-9 ადგილი დაიკავა. გოგონათა შორის იმარჯვა თბილისის 145-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლიანა ჭელეხსაევამ. გადამწყვეტ შეხვედრაში მან ასევე თბილისელ ანა გასპარიანს მოუგო — 7:5, 7:5. საინტერესოა, რომ ლიანას უფროსმა დამ, ალიონამ გაიმარჯვა 1973-74 წლებში დაბადებულ გოგონათა ტურნირში. ფინალურ მატჩში მან რუსუდან მძინარიშვილს აჯობა. ბიჭების შეჯიბრება ამავე ასაკობრივ ჯგუფში მოიგო ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელმა გივი გორდაძემ, რომელმაც ფინალში თანასკოლელი იური მარქაროვი დაამარცხა — 6:1, 6:1. სასიხარულოა რომ III ადგილზე თელაველი მოსწავლე ლევან ჯანდიერი გავიდა.

მეტად საინტერესო გამოდგა 1971-72 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ასპარეზობა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის გრანტ მუსაელიანის აღსაზრდელები გია კუპრეიშვილი და სიმონ ელიგულაშვილი. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა კუპრეიშვილმა — 6:4, 7:5. ამავე ასაკის გოგონათა ტურნირი მოიგო ერევნელმა ნაირა აგაჯანიანმა, რომელმაც ფინალში თბილისელ ირინა მუსაელიანს სძლია — 6:3, 3:6, 7:5. „ბრინჯაო" წილად ხვდა კიეველ ლილია შადრინას.

ერევნელმა ჩოგბურთელმა კიდევ ერთი გამარჯვება იზეიმა: მან წარმატებით ისპარეზა უფროს ასაკობრივ ჯგუფში (1969-70 წწ.) და იქაც I ადგილი დაისაკუთრა. ფინალში მისი მეტოქე იყო საქართველოს ღია პირველობაში ორგზის გამარჯვებული (წყვილთა და შერეულ წყვილთა თანრიგში), თბილისელი ეკა თოხაძე. შეხვედრა საინტერესოდ დაიწყო, მაგრამ მალე ეკა შეუძლოდ გახდა და თამაშის გაგრძელება ვეღარ შეძლო. გამარჯვება აგაჯანიანს მიეკუთვნა. სხვათა შორის, III ადგილიც ერევნელმა სტუმარმა, არლეტა ასატრიანმა დაიკავა.

ამ ასაკის ჭაბუკთა ტურნირში თავი გამოიჩინა ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლის აღსაზრდელმა ალექსანდრე ნახაპეტიანმა, რომელმაც ფინალში არნოლდ მელიქსეტოვს სძლია — 6:2, 7:6.

უნდა აღინიშნოს, რომ შოთა გამცემლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება თანდათან იხვეჭს პოპულარობას. მარტო ის რად ღირს, რომ თელავში ამჯერად საბჭოთა კავშირის 20 ქალაქის წარგზავნილები ასპარეზობდნენ.

არტემ მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

სურათზე: შოთა გამცემლიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკავშირო ტურნირის ლაურეატი გია კუპრეიშვილი.

შალვა შარაშიძის ფოტო.

ყველა გამარჯვებას ერთი „საიდუმლო" აქვს...

(დასასრული)

ნით ჩავატარეთ სამ-სამი რესპუბლიკური და საკავშირო შეჯიბრება, თითო სამატჩო შეხვედრა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. ყველა ეს ღონისძიება მზადების საერთო გეგმით იყო გათვალისწინებული.

მეორე ეტაპზე ყურადღება ძირითადად უნდა გამახვილებულიყო სადებიუტო თეორიულ მომზადებაზე; სამატჩო შეხვედრების საბრძოლო და სპეციფიკური თვისებების გამომუშავებაზე, მორალურ-ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ მზადყოფნაზე, სამედიცინო შემოწმებაზე.

ორივე ეტაპის წინასწარ განსაზღვრული ყველა პუნქტი მკაცრად დავიცავით, კერძოდ, მონაწილეობა მივიღეთ ხუთ საკავშირო და ოთხ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. გავმართეთ ხუთი სამატჩო, და ამდენივე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. შეკრების ბოლო ეტაპზე, ბაკურიანში, მოვიწვიეთ კონსულტანტები, საერთაშორისო დიდოსტატები დავით ბრონშტეინი და ედუარდ გუფელდი. გარდა ამისა, მზადების ორივე ეტაპზე ნაკრებ გუნდს თემატურ ლექციებსა და ერთდროული თამაშების სეანსს უტარებდნენ დიდოსტატები ნანა ალექსანდრია, ედუარდ გუფელდი და ოსტატი დავით ჯანოევი.

ამრიგად, ამ ღონისძიებების შემდეგ გამოიკვეთა ნაკრების შემადგენლობა. სასიხარულო ის გახლავთ, რომ ეს რვა სპორტსმენი ერთი ან ორი კი არა, როგორც წინა წლებში იყო, უკვე ოთხი ქალაქის სახელს იცავდა. გუნდი დაკომპლექტდა თბილისელი, ქუთაისელი, ზუგდიდელი და გარდაბნელი მოჭადრაკეებით, ქეთევან არახამიამაც, რომელიც ამჟამად თბილისში ცხოვრობს, როგორც იცით ოჩამჩირეში „აიდგა ფეხი".

და აი დადგა სექტემბერი...

შესარჩევ შეჯიბრებაში დავამარცხეთ აზერბაიჯანის (5,5:2,5) ლენინგრადის (4,5:3,5), ყირგიზეთის (5:3), ლატვიისა (4,5:3,5) და ყაზახეთის (5,5:2,5) გუნდები. ამრიგად, ქვეჯგუფში 25 ქულა მოვაგროვეთ და დამაჯერებლად დავიკავეთ I ადგილი. აქ ბედმაც გაგვიღიმა. ჩვენთან ერთად ფინალურ ტურნირში გავიდა აზერბაიჯანის ნაკრებიც, ვისთან შეხვედრაშიც 5,5 ქულა გვქონდა აღებული. ფინალში რომ ლენინგრადის გუნდი გასულიყო, მაშინ დასკვნით ეტაპზე საქართველოს ნაკრებს გადაყვებოდა არა 5,5 ქულა, არამედ 4,5, მთელი ერთი ქულით ნაკლები, ანუ იმდენი, რამდენიც ნევისპირელებთან შეხვედრაში მოვიპოვეთ. ამან საშუალება მოგვცა თითო ქულით გაგვესწრო ფინალში სხვა ქვეჯგუფიდან გასული რსფსრ-ის და უკრაინის კოლექტივებისთვის.

აქვე მოგახსენებთ, .რომ სპარტაკიადის სტარტებამდე ჩვენ ფინალურ ექვსეულში მოხვედრა გვქონდა დაგეგმილი, ახლა კი შესარჩევ ტურნირში მოპოვებულმა დამაჯერებელმა გამარჯვებამ უკვე სხვა ამბიციები გაგვიჩინა — საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლის მყარი საფუძველი შეგვიქმნა და გუნდიც ამ მიზნით გამსჭვალული ჩაერთო ფინალურ ასპარეზობაში.

დასკვნითი ტურის პირველი პაექრობაც წარმატებით განვვლეთ — უზბეკეთს მოვუგეთ (4,5:3,5), შემდეგი მეტოქეები იყვნენ უკრაინისა და რსფსრ-ის ძალიან ძლიერი მოჭადრაკეები. აქ, როგორც ჩანს, მოახლოებული წარმატებით გამოწვეულმა მღელვარებამ და ზედმეტი პასუხისმგებლობის გრძნობამაც იჩინა თავი — მოწინააღმდეგის სიძლიერეც ხომ ანგარიშგასაწევია. შედეგიც „შესაფერისი" მივიღეთ: უკრაინელებთან წავაგეთ 3,5:4,5, ხოლო რსფსრ-ის გუნდთან — 3:5. მაგრამ დაკარგული ჯერ არაფერი იყო, საპრიზო ადგილების ბედი ბოლო ტურს უნდა გადაეწყვიტა, რომლის წინ მაღალი ადგილების პრეტენდენტები სატურნირო ცხრილში ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: რსფსრ — 18 ქულა, უკრაინა — 17,5, საქართველო და უზბეკეთი — 16,5-16,5. ქულანახევარი დიდი სხვაობაა, თანაც ზედიზედ ორჯერ დამარცხების შემდეგ გუნდი, შესაძლოა, გატეხილიყო. მაგრამ საბედნიეროდ, ბოლო ტურში ერთმანეთს ლიდერები — რუსი და უკრაინელი მოზარდები ხვდებოდნენ, რომელთა შეხვედრაშიც დიდი ანგარიში გამორიცხული იყო. თანაც, ჩვენმა სპორტსმენებმა საოცარი ნებისყოფა გამოიჩინეს. თავის ქებაში ნუ ჩამოგვართმევთ და გუნდის ხელმძღვანელობა ისე იყო შეკრული, ერთი აზრით გამსჭვალული, რომ ეს შეხმატკბილებულობა და თანადგომა ბავშვებსაც გადაედოთ. და მათ ნამდვილი სპორტული გმირობა ჩაიდინეს — ანგარიშით 6,5:1,5 დაამარცხეს ლიტველი მოჭადრაკეები. უკრაინის გუნდმა რსფსრ-ს კოლექტივს სძლია — 5:3. ამრიგად, ჩვენ მოვაგროვეთ 23 ქულა, უკრაინელებმა — 22,5, რსფსრ-ს გუნდმა — 21. ახლა ყველაფერი უზბეკეთისა და აზერბაიჯანის გუნდების შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა. სამწუხაროდ, აზერბაიჯანელებმა ადვილად წააგეს მასპინძლებთან — 1:7, რამაც უზბეკეთის ნაკრებს საშუალება მისცა ნახევარი ქულით გაესწრო ჩვენთვის და სპარტაკიადის ჩემპიონი გამხდარიყო. აი, ასე დავრჩით II ადგილზე. ხომ დასანანია? თუმცა, ორი კვირით ადრე ამ შედეგზე ფიქრიც კი არ შეგვეძლო.

რასაკვირველია, ყველა ქების ღირსია, განსაკუთრებით გოგონებმა გამოიჩინეს თავი. მათ სპეციალური პრიზი დაიმსახურეს არაოფიციალური გუნდური პირველი ადგილისთვის — 18 შესაძლებლიდან 13,5 ქულა სხვამ ვერავინ მოაგროვა. გარდა ამისა, ქეთევან არახამიამ პირველ დაფაზე 9-დან 7 ქულა მოაგროვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მეორე შედეგი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ უკრაინელმა სედინამ 8 შესაძლებლიდან მოაგროვა 6,5 ქულა, რაც პროცენტული მაჩვენებლით სჯობდა ქეთევანის მიერ ნაჩვენებ შედეგს. სამაგიეროდ, მცირე ოქროს მედალი მოიპოვა მეორე ქეთევანმა—კახიანმა. მან გოგონათა მეორე დაფაზე 9-დან 6,5 ქულით პირველობა მოიპოვა. კახიანის მსგავსად კობა შავგულიძემაც 6,5 ქულა მოაგროვა, რაც IV დაფაზე საუკეთესო შედეგი იყო. სასიამოვნო სიურპრიზი იყო, აგრეთვე, გიზო ჭურღულიასა და ნუკრი მანაგაძის წარმატება. რაც შეეხება გივი გოგიჩაიშვილს, თამაზ ტაბატაძესა და ხვიჩა სუპატაშვილს, მათ წინააღმდეგ ძირითადად ოსტატები თამაშობდნენ და ამდენად მათი შედარებით მოკრძალებული შედეგები საგანგაშო არ გახლავთ.

ახლა ორიოდე სიტყვა ამ ბავშვების მწვრთნელებზე გვინდა ვთქვათ. ესენი არიან სოხუმელი გიორგი ბარამიძე, ქუთაისელები გიორგი ქანთარია, ალექსანდრე რაზოვსკი, თენგიზ ხარლამიდი, ოჩამჩირელი რეზო ჭედია, ზუგდიდელი ნუგერ შოგირაძე, თბილისელები გიორგი მაჭარაშვილი და გურამ მაჭავარიანი. კიდევ ერთხელ ვამახვილებთ თქვენს ყურადღებას „გეოგრაფიაზე". ეს გამარჯვების ერთ-ერთი უდავო წინაპირობა გახლავთ.

გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და დიდი მადლობა მოვახსენოთ პარტიის ლენტეხის რაიკომისა და პარტიის სამტრედიის ქალაქკომის პირველ მდივნებს გურამ გუნავასა და თამაზ იმედაძეს, საქართველოს კომკავშირის ისტორიის მუზეუმის დირექტორს ამირან თავართქილაძეს, ყოფილ მოჭადრაკეს, ამჟამად რეგბისტს ვლადიმერ პეტუხოვს, ისტორიკოსსა და ჟურნალისტს გივი გამრეკელს და სხვებს. ეს ადამიანები მზადების სხვადასხვა ეტაპზე დაუზარებლად ამოუდგნენ გუნდს მხარში და დიდი სამსახური გაგვიწიეს.

ახლა ხვალინდელ დღეზე ფიქრი გვმართებს. სიღნაღში დასასრულს უახლოვდება საქართველოს მოსწავლე (1969-1975 წწ. დაბადებულნი) გოგონათა და ჭაბუკთა პირადი პირველობები. მომავალი სპარტაკიადისთვის სწორედ ამ 28 მოჭადრაკიდან შევარჩევთ კანდიდატებს, მანამდე კი, გაისად ივნისში, ლენინგრადში ახალგაზრდული თამაშების პროგრამით მოგვიწევს ასპარეზობა. თითქმის ყველა კანდიდატი ტაშკენტის ბატალიების მონაწილე გახლავთ.

მზადების ძირითადი გეგმა იგივე იქნება. მაგრამ იმისთვის, რომ ჩვენს მეცადინეობებს ცენტრალიზებული ვარჯიშის ხასიათი მიეცეს, საჭიროა ყველა კანდიდატი თბილისში გადმოვიყვანოთ. და კიდევ, ნაკრების ხელმძღვანელობასთან შეთანხმების გარეშე კანდიდატები არ უნდა ებმებოდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში. რა თქმა უნდა, ეს ღონისძიებები — ტურნირები, მატჩები — სარგებლობის მეტს რას მოუტანს მათ, მაგრამ საკითხავია როდის. დიდი შეჯიბრებისთვის მზადებაში ამ ასპარეზობებმა ხელი არ უნდა შეუშალოს მათ. ამან, შესაძლოა, ნაკრების მზადების გრაფიკიც დაარღვიოს. მგონი, „საიდუმლოსაც" მივაგენით.... რწმენა, იმედი და ღონისძიებათა ათასჯერ შემოწმებული გეგმა, რომლის დარღვევა და დაბლა დაშვება ერთია. აი, რა არის მთავარი. XVII სპარტაკიადაზე ხომ სწორედ მზადების პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ჩინებულმა ორგანიზაციამ, მთელი გუნდის მაღალმა მოქალაქეობრივმა, პატრიოტულმა შემართებამ, მონაწილეთა კეთილსინდისიერებამ და მაღალმა დისციპლინამ მოგვაპოვებინა სანუკვარი ვერცხლის მედალი.

საუბარი ჩაიწერა

დავით ჭელიძემ.

დებიუტანტი

ლევან ბელაშვილი

ჩოგბურთი

დაიბადა 1977 წლის 25 მაისს თბილისში.

სიმაღლე—138 სმ, წონა—30 კგ.

ვარჯიში დაიწყო 1983 წელს.

მწვრთნელები—საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გივი ჩახუნაშვილი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ალა ივანოვა.

„დინამოს" რესპუბლიკური საბჭოს პირველობის III პრიზიორი (1975 წელს დაბადებულ ჭაბუკთა შორის).

სპორტსაზოგადოება „დინამოს" წევრი.

ფეხბურთს თამაშობენ... გოგონები

სულ რამდენიმე თვის წინათ ფოთში, ლიბკნეხტის ქუჩაზე, გამვლელ-გამომვლელნი გაკვირვებული ჩერდებოდნენ მავთულის ბადით შემოღობილ სპორტულ მოედანთან, სადაც ოფლში გახვითქული 11-12 წლის გოგონები გამალებული დასდევდნენ... ფეხბურთის ბურთს. ამ სურათის შემხედვარეთა უმრავლესობა უკმაყოფილოდ აქნევდა თავს და გზას განაგრძობდა. თავიანთი შვილების არჩევანით კმაყოფილი არც გოგონების მშობლები იყვნენ, მაგრამ ახლა ლიბკნეხტის ქუჩის მცხოვრებთ თავიანთი სპორტული მოედანი მათ გარეშე ველარც კი წარმოუდგენიათ.

— ხშირად ვიკრიბებოდით მოედანთან და ბიჭების თამაშს ვუცქეროდით, — გვეუბნება ეკა წურწუმია. — ერთ დღეს ჩვენც ვცადეთ ფეხბურთი გვეთამაშა. მოგვეწონა. მეორედაც ვცადეთ, მესამედაც. ზოგიერთები თამაშს გვიკრძალავდნენ — ფეხბურთი რა გოგონების საქმეაო, მაგრამ ერთ საღამოს ჩვენთან ძია იასონი მოვიდა და გვითხრა, ნამდვილი ფეხბურთის თამაში უნდა ისწავლოთო.

იასონ დოლბაია (პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე) სპორტული მოედნის მახლობლად ცხოვრობს და გოგონების გატაცებულ თამაშს ბევრჯერ შესწრებია. ერთხელაც, როცა მარჯვედ გადაწოდებულ ბურთს გააყოლა თვალი, გადაწყვიტა გოგონებთან მისულიყო და გასაუბრებოდა. აი, მაშინ უთხრა, ბარემ ისწავლეთო თამაში... ასე ჩამოყალიბდა პირველი გუნდი, რომელსაც „მედეა" დაარქვეს. მალე მწვრთნელებიც გამოჩნდნენ — ფოთის ავტოსატრანსპორტო საწარმოს ტაქსის მძღოლი ნუგზარ ბართაია და საოკეანო თევზჭერის სამმართველოს თევზსაჭერი ტრაულერის მექანიკოსი თამაზ აბსარიძე. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის აკაკი დარჯანიას დახმარებით გოგონებმა სპორტული ფორმები შეიძინეს, ფეხბურთის სტადიონის დირექტორმა თამაზ ადამიამ კი პატარა ფეხბურთელებს ბურთები აჩუქა. გოგონებმა მალე ნამდვილ მინდორზე გადაინაცვლეს — იქვე, „ვოდნიკის" სტადიონზე დაიწყეს ვარჯიში, სადაც „კოლხეთის" ფეხბურთელებიც გაიცნეს.

ფოთი ქართული ფეხბურთის აკვანია. აპრილში ამ ზღვისპირა ქალაქში დიდი ზეიმით აღინიშნა ჩვენი ფეხბურთის 75 წლისთავი. ამ დღესასწაულზე გოგონების წამოწყებით აღფრთოვანებულმა ქალებმა, კერძოდ, საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატმა ხელბურთში დარეჯან გეფერიძემ ზეიმის მონაწილეებს მოუწოდა: მოდით, ფოთი რესპუბლიკაში ქალთა ფეხბურთის პირველ მერცხლადაც ვაქციოთო და ამ მოწოდებას თვითონვე უპასუხა — თავად ჩაუდგა სათავეში „მედეას".

17 ივლისს შედგა „მედეას" საფეხბურთო ნათლობა: გუნდი ორად გაიყო (რაკი მეტოქე არ ჰყავდა) და თავის პატარა მოედანზე მრავალრიცხოვანი მაყურებლის თანდასწრებით ნამდვილი მატჩი გამართა. თამაშობდნენ: ეკა წურწუმია, ნესტან და ეკა ამბალიები, როზეტა ნოდია, ნინო ჭანტურია, სოფიკო ცარციძე, ნათელა სობოლევა, აზა გამზარდია, მაია და ირინა არსენიევები, დიანა მირცხულავა. მერე იყო კიდევ ერთი მატჩი. კომკავშირის საქალაქო კომიტეტის თხოვნით პიონერთა ბანაკ „ფაზისში" (ბანაკის უფროსი რომან სანაია) სახელდახელოდ შეიქმნა ამავე სახელწოდების გუნდი, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ ინა შავალიოვა, ნატაშა ნიკიტინა, ნინა პოლიაკოვა, ოქსანა პალანჩუკი, ხათუნა გუნჯუა, ირინე კოკაია, მზია ბესაია (გუნდის კაპიტანი), მარინა შუბინა, ოლგა ნიკულევა, მარინა ეფიმენკო და ლუდმილა ერიომენკო. 19 ივლისს „ვოდნიკის" სტადიონზე „ფაზისი" „მედეას" შეხვდა. პირველი ბურთი „მედეას" კაპიტანმა აზა გამზარდიამ გაიტანა. მატჩი ანგარიშით 3:1 მოიგო „მედეამ".

მაყურებლები იმდენად მოხიბლა გოგონების თამაშმა, რომ მათი თხოვნით პატარები მომდევნო დღესაც გამოვიდნენ მინდორზე და საჩვენებელი მატჩი გამართეს ფოთის „კოლხეთისა" და არტაშატის „ოლიმპიას" შეხვედრის დროს, ტაიმებს შორის შესვენებისას. თამაშს ათასობით გულშემატკივარი ადევნებდა თვალს.

— დიახ, ფოთში ქალთა ფეხბურთის აკვანიც დაირწა, —გვეუბნება ქალაქის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე ოთარ ხომერიკი. — რაკი წამოვიწყეთ, ამ საქმის მიტოვება აღარ შეიძლება. სექტემბრიდან „ვოდნიკის" სტადიონის ფეხბურთის სექციასთან, განათლების განყოფილების ბავშვთა და მოზარდთა სპეციალიზებულ სპორტსკოლასთან და ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტთან სამი ფასიანი სექცია გაიხსნა. სკოლებში (ქალაქში სულ 12 საშუალო სკოლაა) სულ მალე შეიქმნება ფეხბურთის სექციები 1968 და მომდევნო წლებში დაბადებული გოგონებისთვის. სამედიცინო სასწავლებელში უკვე ჩამოყალიბდა ფეხბურთელ გოგონათა გუნდი, კიდევ ერთი ასეთი გუნდი ამ დღეებში შეიქმნება. არც მე-12 პროფტექნიკური სასწავლებლისა და ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმის მოსწავლეებს სურთ სხვებს ჩამორჩნენ. სექტემბრის დამდეგს ჩავატარეთ პირველი საქალაქო შეჯიბრება, რომელშიც 12 გუნდი მონაწილეობდა.

საინტერესოა როგორ შეხვდებიან სპორტის მოყვარულნი ფოთელთა ამ წამოწყებას.

ვაჟა დანელია.

(„ლელოს" სპეც. კორ.).

მეგობრობა გრძელდება

ისტორიული თარიღის — გეორგიევსკის ტრაქტატის საზეიმოდ აღნიშვნის დღეებში მყარი საფუძველი ჩაეყარა გორისა და გეორგიევსკის მეგობრობას. ამ რამდენიმე დღის წინ გეორგიევსკის სპორტული დელეგაცია ჩვენს ქალაქს ეწვია ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად. ასპარეზობები სამამულო ომის ძლევამოსილად დამთავრების 40 წლისთავს მიეძღვნა.

მეგობართა შეხვედრებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ქალაქის სპორტულ ბაზებზე დაძაბული პაექრობები გაჩაღდა. შეჯიბრება გახსნეს ვეტერანმა ფეხბურთელებმა. ანგარიშით 3:2 გაიმარჯვეს სტუმრებმა. სტუმართაგან ბურთები გაიტანეს ყურბანოლლიმ და ტომასიანმა (2), მასპინძელთაგან — ბუზულაძემ და მარღიშვილმა. გორელმა მოკრივეებმა (მწვრთნელები გ. კარელიძე და ა. შოშიაშვილი) დაამარცხეს მეტოქეთა გუნდი. ყულუმბეგაშვილმა გაიმარჯვა — სისარცევთან, გულოევმა — ავდეევთან, რაზმაძემ — პეტრენკოსთან, ავაზნელმა — ზაგორინთან, გაზაშვილმა — აირაპეტიანთან, კარაპეტიანმა — მუსაევთან, კაბულაშვილმა — კატრიშევთან, ქერდიყოშვილმა — მიშჩენკოსთან, ზ. ხორბალაძემ — იაკომენკოსთან. ნორჩმა გორელმა ფეხბურთელებმა მშრალი ანგარიშით — 6:0 დაამარცხეს გეორგიევსკელი თანატოლები.

საინტერესო აღმოჩნდა მძლეოსანთა პაექრობაც. გუნდურ ჩათვლაში ვაჟებში მასპინძლებმა გაიმარჯვეს, გოგონებში კი სტუმრებმა.

მეგობრებმა გადაწყვიტეს ასეთი ასპარეზობები პერიოდულად გამართონ როგორც გორში, ისე გეორგიევსკში.

ილია თევდორაშვილი.

(„ლელოს" კორ.).

პარდუბიცეს დიდი პრიზი

პარდუბიცეში სტიპლ-ჩეისის რვა პრიზი თამაშდება. შეჯიბრებები ტარდება 2600, 3200, 3600, 4000 და 5000-მეტრიან ტრასაზე, რომლებზედაც სხვადასხვა რაოდენობისა და გაბარიტის წინაღობაა განლაგებული. მხოლოდ დიდი პრიზის ტრასაა 6900 მეტრი. თითოეული პრიზი სტიპლ-ჩეისის სირთულის მიხედვითაა შეფასებული. ყველაზე მცირე ჯილდოა 20 ათასი კრონა. თანხა I–V ადგილებზე გასულ მხედრებს შორის ნაწილდება. ყველაზე სოლიდური თანხა — 220 ათასი კრონა დაწესებულია დიდი პრიზის გათამაშებაში (110 ათასი, 51 ათასი, 33 ათასი, 15 ათასი, 11 ათასი).

თუმცა, არის შემთხვევები, როცა ჯილდო გაუთამაშებელიც რჩება. მაგალითად, დიდი პრიზის 94 გათამაშებიდან 35 შემთხვევაში ასპარეზობის მონაწილეთაგან დისტანცია ხუთმა მხედარმაც ვერ დაამთავრა. მაგრამ ეს იყო 1930 წლამდე. ახლანდელი შეჯიბრება კი გამორჩეული იმითაც იყო, რომ 1930 წლის შემდეგ ფინიშთან პირველად მივიდა ხუთზე ნაკლები ცხენ-მხედარი — 16 მონაწილიდან ასპარეზობა მხოლოდ ოთხმა დაამთავრა. წლევანდელ ასპარეზობაში გამოსვლის სურვილი თავდაპირველად გამოთქვა 19 მხედარმა, მაგრამ, როგორც ხდება ხოლმე, სტარტის წინ რამდენიმემ უარი თქვა სარბიელზე გამოსვლაზე. წლეულს დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობის მსურველთაგან შეჯიბრების დაწყებისას მხოლოდ სამმა დაიხია უკან. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა ამ ასპარეზობის ისტორიაში. 1981 წელს 40 მსურველიდან შეჯიბრებაში ჩაება მხოლოდ 22 მხედარი, 1982 წელს 41-დან 25, შარშან კი 19-დან 10. და აი, წელს, როგორც ვთქვით, სტარტზე გამოვიდა 19-დან 16 სპორტსმენი.

ბოლო წლებში ამ შეჯიბრებაში მონაწილეთა რიცხვი სულ უფრო მცირდება. ოფიციალურად ამ ფაქტს იმით ხსნიან, რომ ევროპის ბევრ ქვეყანაში ფართო მასშტაბი მიიღო „ცხოველთა დაცვის" მოძრაობამ. ამიტომ პარდუბიცეში ევროპის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები ამჟამად უცხენოდ ჩამოვიდნენ. მათ შეჯიბრების მასპინძლებმა შესთავაზეს თავიანთი მერნები. ოღონდ ეგაა, დიდი პრიზის გათამაშებაში მონაწილეობაზე უცხოეთის სპორტსმენთაგან ყველამ უარი განაცხადა.

ამ შეჯიბრებაში გამოსვლა, როგორც წინა წერილში ვწერდით, დიდ რისკთანაა დაკავშირებული. ასპარეზობა იშვიათად თუ დამთავრდება, რომელიმე ცხენი არ დაიღუპოს ან არ დაშავდეს. ყველაზე სახიფათოა დიდი ტაქსისი. ტრიბუნებიდან კარგად ჩანს, როგორ უახლოვდებიან მხედრები ამ დაბრკოლებას, მაყურებელი ხედავს მხოლოდ ნახტომს და იმათ, ვინც ამ დაბრკოლების შემდეგ აგრძელებს ასპარეზობას. მაგრამ ტრიბუნებიდან ვერავინ ხედავს, რა ხდება იმ მონაკვეთზე, სადაც ცხენ-მხედარი წინაღობის დაძლევის შემდეგ ეშვება. ეტყობა ეს შემთხვევითი არ არის.

შეჯიბრების ორგანიზატორები მკაცრად იცავენ დადგენილ წესს: ვისაც უშუალოდ შეჯიბრებასთან არავითარი კავშირი აქვს, ტრასაზე გასვლა კატეგორიულად ეკრძალება. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ ოფიციალურად აკრედიტებული ჟურნალისტები, რომლებსაც სურთ შეჯიბრების ამსახველი კადრები გადაიღონ. ამისთვის ისინი ტრადიციულ სიმბოლურ საფასურსაც იხდიან. ჟურნალისტები პრესცენტრში წინდაწინ იღებენ ინსტრუქტაჟს და მითითებას, რომ დიდი პრიზის გათამაშებისას 31 დაბრკოლებიდან მხოლოდ ერთს აირჩევენ და იქიდან ფეხს არ მოიცვლიან. რა თქმა უნდა, პრესის მუშაკთა უმრავლესობა დიდ ტაქსისს ირჩევს. მაგრამ ამ დაბრკოლებასთან ადგილი წინასწარ უნდა შეარჩიო და დაიბეო. ასევე ძნელია გადასაღებად ხელსაყრელი კუთხის გამოძებნაც. წინდახედული რეპორტიორები რამდენიმე საათით ადრე იკავებენ ადგილს „პარტერში".

დიდი პრიზის გათამაშებაში თექვსმეტივე ცხენ-მხედარმა წარმატებით დაძლია პირველი სამი წინაღობა. ისინი თითქმის ჯგუფურად დაიძრნენ დიდი ტაქსისის მიმართულებით. მხედრებმა იციან, რა სახიფათოა ეს დაბრკოლება და განსაკუთრებით ფრთხილობენ, თუმცა ხელსაყრელი ტაქტიკური ვარიანტის შერჩევა არც ისე იოლი საქმეა. მაგრამ ნიკოლაი ხლუდიევმა, რომელიც კიდევ სამ საბჭოთა მხედართან ერთად ჩაება დიდ სტიპლ-ჩეისში, მართლაც ჭკვიანური გზა მოძებნა. როგორც კი დიდ ტაქსისს მიუახლოვდა, იგი მოულოდნელად გამოეყო ჯგუფს და გეზი მარცხნივ აიღო. მეტოქეებს ისეთი შთაბეჭდილება დარჩათ, თითქოს მხედარი ასპარეზობის გაგრძელებაზე უარს ამბობდა და ტრასიდან გადიოდა. ხლუდიევმა კი, რაკი თავი დაიმარტოხელა, ტემპს უმატა და დიდ ტაქსისზე მერანი უკიდურეს მარცხენა კუთხეში მიუშვა. ეროტი შესანიშნავად მოსწყდა ადგილს, გადაევლო ცოცხალ ღობეს, მის მიღმა მდებარე ხუთი მეტრის სიგანის არხიც წარმატებით დაძლია და წაუფორხილებლად დაამთავრა ნახტომი. მისგან მარჯვნივ კი, დაბრკოლების მთელ სიგანეზე, მიწაზე ერთიმეორის მიყოლებით ცვიოდნენ ცხენ-მხედრები. 16 ცხენიდან 11 წაიქცა. ხშირად მერნებისთვის ეს დაცემა საბედისწეროა. იმ თერთმეტი ცხენიდან ორი ადგილზევე დაიღუპა. მათ შორის იყო ტერსკოლის ცხენსაშენის ბედაური კარელანი. მხედარი ალექსანდრე ზაზინი სრულიად უვნებელი გადარჩა. იგი უმალვე მივარდა ცხენს, რათა ისევ ამხედრებულიყო, მაგრამ კარელანი ვეღარ წამოდგა. მხედარმა ცრემლმორეულმა ჩაიჩოქა მერანთან, უკანასკნელად მოეხვია და აქ გაიყარა საბოლოოდ მათი გზები.

სამი ცხენი უმხედროდ აედევნა ბედნიერ ხუთეულს, რომელიც დიდ ტაქსისს გადაურჩა. რამდენიმე მერანი მხედარს არ მოსცილებია გვერდიდან, მაგრამ ხელახლა ამხედრება და შეჯიბრების გაგრძელება ვეღარავინ მოახერხა.

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ პრესცენტრში თავმოყრილი ჟურნალისტები გულმოდგინედ ათვალიერებდნენ პარდუბიცეს დიდი სტიპლ-ჩეისის საუკუნოვანი ისტორიისადმი მიძღვნილ კრებულს და გაოცებულნი შლიდნენ ხელებს. ეს იყო პირველი შემთხვევა, რომ ერთ დაბრკოლებასთან თერთმეტი ცხენი დაეცა. სამწუხაროდ, ტრაგედიის გარეშე არც სხვა პრიზების გათამაშებას ჩაუვლია, სადაც გაცილებით იოლ ტრასაზე კიდევ ორი მერანი დაიღუპა.

ხლუდიევმა და ეროტიმ ყველაზე სახიფათო მონაკვეთის უვნებლად გავლის შემდეგ დინჯად განაგრძეს ასპარეზობა. ჩეხმა კ. ვაცაბმა, რომელიც ფესტივალით გამოდიოდა, გეზი უმალვე ხლუდიევისკენ აიღო. ჩანაფიქრი გასაგები იყო — ხლუდიევს შეეძლო მოეგო ეს ბრძოლა. ამიტომ ჩეხ მხედარს ხლუდიევი ძალიან წინ არ უნდა გაეშვა. ერთხანს იგი თითქმის კვალში მისდევდა მეტოქეს, მაგრამ მერე იძულებული გახდა განზრახვა შეეცვალა. ვაცაბი გამოცდილი ჟოკეია. მან კარგად იცის ცხენის შესაძლებლობები და როცა ხლუდიევის დევნაში ამაოდ დაშვრა, როცა ის იყო ტყის მონაკვეთი გათავდა და ფინიშისკენ მიმავალი ბილიკი უკვე იპოდრომისას უერთდებოდა... თუმცა, ჯობს თავად ვაცაბს მოვუსმინოთ. პრესკონფერენციაზე იგი იტყვის: მე მივხვდი, რომ ფესტივალი ეროტს ვეღარ დაეწეოდა და ბოლოს ხლუდიევს მივაძახე,—გილოცავ, შენ გაიმარჯვებ-მეთქი.



ეროტი მართლაც პირველი მიიჭრა ფინიშთან. სპეციალისტები და საქმეში ჩახედული გულშემატკივრები გაოცებას ვერ მალავდნენ: მერანს დაღლაც არ ეტყობოდა. ამ დისტანციის გავლის შემდეგ ცხენები კიდურებს ვეღარ იმორჩილებენ — მთელი ტანით ცახცახებენ, ეროტიმ კი ფეხაურევლად, ლაღი ნავარდით გაიარა ფინიში. ეროტისნაირი მერნები ასეთი წარმატების შემდეგ ქვეყნის ოქროს ფონდში ირიცხებიან. მათი ფასი საარაკო თანხას აღწევს საერთაშორისო აუქციონზე. ეროტი წმინდასისხლიანი ცხენების ნამდვილი სიამაყეა. მან კვლავ დაუბრუნა სახელი და ავტორიტეტი ქვეყნის ერთ-ერთ ცნობილ ცხენსაშენს „ვოსხოდს".

ეროტის შემდეგ დისტანცია ფესტივალმა დაამთავრა. მესამე იყო ასევე მასპინძელთა ბედაური იავანი (მხედარი ი. შტოპანცი), ფინიშთან მეოთხე მივიდა ტერსკოლის ცხენსაშენის მერანი გაბარი (ნ. ომელჩენკო). მეხუთე ცხენ-მხედარი, დიდ ტაქსისს კი გასცდა, მაგრამ მომდევნო დაბრკოლებაზე გამოეთიშა შეჯიბრებას. ეს დაბრკოლება არც ისე რთული იყო, მაგრამ ტაქსისთან შიშნაჭამ ცხენ-მხედარს, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა. და აქ მოხდა საოცარი რამ: მე-5 დაბრკოლებასთან ცხენი უცებ შეჩერდა, ასეთ დროს მხედარი თავს ვერ იკავებს უნაგირზე, ცხენმა კი გზა განაგრძო. მერე, როცა იგრძნო, რომ უმხედროდ იყო, იგი შეჩერდა და მიბრუნდა სპორტსმენთან, რომელმაც უკვე თავად აღარ ისურვა ასპარეზობის გაგრძელება.

აქვე უნდა ითქვას რამდენიმე სიტყვა ნიკოლაი ხლუდიევზე. 17-წლიანი „შესვენების" შემდეგ პარდუბიცეში საბჭოთა მხედრების პრესტიჟის აღდგენა სწორედ ამ მხედარმა შეძლო. ხლუდიევი 29 წლისაა. დაიბადა როსტოვში და იქვე დაიწყო ვარჯიში „უროჟაის" საცხენოსნო სკოლაში. წარმატებით მონაწილეობდა სამჭიდელთა ასპარეზობებში. იყო საბჭოთა ნაკრების წევრი ამ სახეობაში. რამდენიმე წელია სტიპლ-ჩეისისთვის მზადების ჯგუფში გადაინაცვლა. პარდუბიცეში, სანამ დიდი პრიზისთვის ბრძოლაში ჩაებმებოდა, ხლუდიევმა კიდევ ერთ წარმატებას მიაღწია — პირველი იყო 5000 მეტრზე სტიპლ-ჩეისის ერთ-ერთი პრიზის გათამაშებაში.

დიდი პრიზის მოგების შემდეგ ეროტი 50 ათასი მაყურებლის თვალწინ გვირგვინით შეამკეს და აღვირზე, საფეთქელთან ალისფერი ლენტი მიაბნიეს, როგორც 1984 წლის სტიპლ-ჩეისის საუკეთესო მერანს. ხლუდიევმა კი მთავარი პრიზის გარდა უამრავი სამახსოვრო საჩუქარიც მიიღო. დიქტორმა მაყურებელს აუწყა, რომ პარდუბიცეში პირველად იმყოფებოდა მეცხენეობისა და საცხენოსნო სპორტის სპეციალისტთა დელეგაცია საქართველოდან. იქვე, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორმა გიორგი შარაშიძემ დელეგაციის სახელით სამახსოვრო საჩუქარი გადასცა გამარჯვებულ მხედარს.

თენგიზ გაჩეჩილაძე,
„ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი.

პრაღა-პარდუბიცე-თბილისი.

ავტორისა და გური ჩიგოგიძის ფოტოები.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 206.

სსრ კავშირის თასზე

მერვედფინალური მატჩების შედეგად გამოვლინდა 6 გუნდი, რომლებიც ბრძოლას გააგრძელებენ სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. ესენია: „ზენიტი“ (ლენინგრადი), „შახტიორი“ (დონეცკი), „დინამო“ (მინსკი), „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), ცსკა და „დინამო“ (კიევი). დანარჩენ 2 მონაწილეს გამოავლენს 2 მატჩი. 12 ნოემბერს ითამაშებენ „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ნივა“ (ვინიცა) და 14 ნოემბერს „დინამო“ (სამარყანდი) — „ისკრა“ (სმოლენსკი).

თასის მეოთხედფინალური მატჩები შედგება 1985 წლის გაზაფხულზე.

ცვლილებები კალენდარში

სსრ კავშირის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ დაადგინა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრათა თარიღები: „ქაირათი“ (ალმა-ათა) და ასკ (დონის როსტოვი) 11 ნოემბრის ნაცვლად ითამაშებენ 8 ნოემბერს, ხოლო XX ტურიდან გამოტოვებული მატჩი როსტოვის არმიელთა გუნდსა და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის გაიმართება 24 ნოემბერს.

I ლიგის საგზურებისთვის

გრძელდება II ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ზონალურ ჩემპიონატებში გამარჯვებული გუნდების ფინალური ტურნირები I ლიგის საგზურებისათვის.

III ტურში ვინიცის „ნივამ“ დაამარცხა ცელინოგრადის „ცელინიკი“ — 2:0, ტიუმენის „გეოლოგმა“ — კრასნოგორსკის „ზორკი“ — 2:1, ხოლო კალინინგრადის „ბალტიკამ“ და სამარყანდის „დინამომ“ ფრედ ითამაშეს — 1:1.

I ფინალურ ჯგუფში სადღეისოდ ლიდერობს კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ — 4 ქულა, II ჯგუფში — აზოვიანის „კოტაიკი“ — 3 ქულა, ხოლო III ჯგუფში — სტავროპოლის „დინამო“ — 3 ქულა.

„გადასასვლელის“ პრიზზე

ყოველი საფეხბურთო სეზონის მიწურულს იმართება მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ახალგაზრდული ნაკრები გუნდების საკავშირო ტურნირი ყოველკვირეულ გამოცემა „ფუტბოლ-ჰოკეის“ პრიზზე. წლევანდელი, რიგით მე-7 გათამაშება მოეწყობა 19 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე სოჭისა და ადლერის სტადიონებზე.

შეჯიბრებაში მონაწილეობენ 18-19 წლის ჭაბუკები, რომელთა რიგებიდან უნდა აღიზარდონ ფეხბურთის მომავალი ოსტატები. წინა წლების ანალოგიურ ტურნირებში გამოდიოდა არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი, რომლებიც დღეს უმაღლესი ლიგის ოსტატთა გუნდებში თამაშობენ, ამასთან დაკავშირებით წლევანდელ გათამაშებაში შეიტანეს ცვლილება, მასში მონაწილეობას მიიღებენ ოსტატთა სამივე საკავშირო ლიგის ფეხბურთელები.

მოგვყავს „გადასასვლელის“ ტურნირის ზონების შემადგენლობა:

I ზონა (სოჭი). რსფსრ, უზბეკეთი, ლატვია, თურქმენეთი;

II ზონა (სოჭი). ტაჯიკეთი, ლენინგრადი, ესტონეთი, ყაზახეთი;

III ზონა (ადლერი). მოსკოვი, სომხეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ყირგიზეთი;

IV ზონა. (ადლერი). უკრაინა, მოლდავეთი, ბელორუსია, ლიტვა.

ზონებში გამარჯვებულები გააგრძელებენ ბრძოლას საპატიო პრიზისათვის.

რას ფიქრობენ ექსპერტები?

კარპოვ-კასპაროვის მატჩი, მიუხედავად იმისა, რომ პრეტენდენტისათვის ესოდენ მარცხიანად წარიმართა, უდიდეს ინტერესს იწვევს მთელს მსოფლიოში. დღეს გაგაცნობთ რამდენიმე ცნობილი ექსპერტის აზრს მისი მსვლელობის შესახებ.

დიდოსტატი მიგელ ნაიდორფი (არგენტინა): ძნელი დასაჯერებელია, რომ კასპაროვმა შეძლოს ამ მატჩის თავის სასარგებლოდ შემობრუნება.

დიდოსტატი მილუნკა ლაზარევიჩი (იუგოსლავია): კასპაროვს ბევრი შეცდომა მოსდის, რამაც თავისი დაღი დაასვა მატჩის მსვლელობას. რაც შეეხება კარპოვს, იგი ახლო იყო მეხუთე გამარჯვებასთანაც, მაგრამ მეთერთმეტე პარტიაში... პირველი შეცდომა დაუშვა! ბაგიოში მან ზედიზედ სამი პარტია წააგო და მატჩი მაინც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. შესაძლებელია ახლა ამის მსგავსი სიტუაციის განმეორება?!

დიდოსტატი ალექსეი სუეტინი: მე კასპაროვის წარუმატებელი თამაშის სამ მიზეზს ვხედავ. პირველი ის გახლავთ, რომ პრეტენდენტი ჯერ კიდევ მატჩის დაწყებამდე „გადაიწვა“. იგი იმდენად გათამამდა პრეტენდენტთა მატჩებში დამაჯერებელი გამარჯვებების შემდეგ, რომ ირწმუნა — კარპოვსაც იოლად სძლევდა. მეორე მიზეზი გახლავთ მცდარი სამატჩო ტაქტიკის არჩევა. იმის მაგივრად, რომ დასაწყისში ფრთხილად, სოლიდურად ეთამაშა, კასპაროვი ყოველ პარტიაში ამწვავებდა ბრძოლას და ჯიუტად მიისწრაფოდა გამარჯვებისაკენ. დიახ, იგი ზედმეტად აფასებდა საკუთარ ძალებს, სათანადო ვერ მიუზღო მსოფლიო ჩემპიონის შესაძლებლობებს. მესამე მიზეზი გახლავთ რაღაც შეუთანხმებელი მუშაობა კასპაროვსა და მის სეკუნდანტებს შორის. ეს ძალიან კარგად გამოჩნდა მეცხრე პარტიაში, რომელიც პრეტენდენტმა სრულიად მოულოდნელად წააგო. ჯერ კიდევ გადადებამდე, შემდეგ კი შეხვედრის განახლებისას კასპაროვს იოლი ყაიმი ჰქონდა, ის კი სუსტად თამაშობდა და ბოლოს-დაბოლოს მეოთხედ დამარცხდა კიდეც.

დიდოსტატი მარკ ტაიმანოვი: ვფიქრობ, რომ ახლა კასპაროვს ამ მატჩის ხსნის არავითარი შესაძლებლობა აღარა აქვს. ამავე დროს დარწმუნებული ვარ, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ იქნება ყველაზე ხანმოკლე მატჩი ჭადრაკის ისტორიაში. 1921 წელს ჰავანაში მსოფლიოს ჩემპიონი ემანუელ ლასკერი პრეტენდენტ ხოსე რაულ კაპაბლანკას შეხვდა. 14 პარტიის შემდეგ, როცა 4 წააგო და 10 ყაიმით დაამთავრა, ლასკერმა შეწყვიტა წინააღმდეგობა. აქ შეხვედრა ბევრად უფრო მეტ ხანს გაგრძელდება.

ოსტატი ალექსანდრე როშალი: კასპაროვს ახლა ალბათობის თეორიის მიხედვით თუ აქვს რაიმე შესაძლებლობა.

დიდოსტატი ედუარდ გუფელდი: დღეს იქნება თუ ხვალ, კარპოვი მოიგებს იმ ორ დარჩენილ პარტიასაც. კასპაროვს ექვსი მოგება სჭირდება. როგორ უნდა მიაღწიოს ამას?!

პუბლიკაცია მოამზადა
გივი თხინვალელმა.

კარპოვ — კასპაროვის მატჩის ირგვლივ

აბსურდული „გამბიტი“

გაზეთ „ტრუდის“ 30 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნდა სპორტული პრესის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის, ლონდონის გაზეთ „დეილი მირორის“ სპორტული მიმომხილველის ფრენკ ტეილორის (დიდი ბრიტანეთი) წერილი.

გთავაზობთ მის თარგმანს.

ინგლისელი ჭადრაკის მოყვარულნი, ყურადღებით რომ ადევნებენ თვალყურს მოსკოვში მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატს, გააკვირვა გაზეთ „ტაიმსში“ გამოქვეყნებულმა კომენტარმა. საქმე ისაა, რომ ამ გაზეთის საჭადრაკო მიმომხილველმა გარი გოლომბეკმა ჩემპიონატზე შექმნილი ვითარების შესაფასებლად საკუთარი „თეორია“ წამოაყენა. იგი ამტკიცებს, რომ კასპაროვმა კარპოვთან ოთხი პარტია წააგო არა იმიტომ, რომ ჩემპიონი უკეთ თამაშობდა და ეს მოსალოდნელი იყო, არამედ იმიტომ, რომ მისი ახალგაზრდა მეტოქე „განგებ“ აგებდა, ვიღაც აიძულებდა თავის შესაძლებლობებზე უარესად ეთამაშა და ამიტომ მან წინასწარვე თქვა უარი საჭადრაკო გვირგვინზე.

ძნელია შეთხზა უფრო დიდი აბსურდი. ფიდე-ს პრეზიდენტმა ფ. კამპომანესმა ამას საკმაოდ გარკვეული განმარტება გაუკეთა თავის წერილში „ტაიმსის“ გამომცემელთადმი: „ნებისმიერი ვარაუდი იმისა, რომ ჩემპიონატზე ერთ-ერთ პარტნიორს რაიმე გარეშე ძალა აიძულებს შეგნებულად ითამაშოს სუსტად, აბსურდულია და სასაცილო“.

გოლომბეკი კარგადაა ცნობილი, როგორც საჭადრაკო კომენტატორი, მაგრამ ამჯერად მისი „გამბიტი“ აშკარად არაა მიმართული საჭირო მხარეს. იგი რაღაც „პოლიტიკურ სარჩულს“ ეძებს ახალგაზრდა დიდოსტატის წაგებებში, მაგრამ ამარცხებს საკუთარი უცნაური თვალსაზრისი. ინგლისელ მოჭადრაკეთა უმრავლესობა არ იზიარებს მის აზრს. როგორც საჭადრაკო ფედერაციის ერთ-ერთმა ცნობილმა წევრმა თქვა, რომ გამტყუნო გარი კასპაროვი იმაში, რომ იგი „არ ცდილობს“, ეს იმას ნიშნავს ასეთივე ბრალი დასდო რინგზე მოჰამედ ალის, რომელიც დაამარცხა ჯო ფრეზერმა, ანდა ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელებს, რომლებმაც სამჯერ მოიპოვეს საფეხბურთო გვირგვინი, მაგრამ დამარცხდნენ ესპანეთში.

ჭადრაკი

კიევში გრძელდება საბჭოთა კავშირის მოჭადრაკე ქალთა 44-ე ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება. გათამაშდა XI ტურის პარტიები: არახამიამ მოუგო კულიკოვას, ზედიზედ მეოთხე მარცხი იწვნია ახმილოვსკაიამ შაფრანსკასთან. დაზავდნენ მუჩნიკ-ეპშტეინი და მატვეევა-პოლნარევა. მძაფრი ბრძოლის შემდეგ რთულ პოზიციაში გადაიდო ხუგაშვილ-იოსელიანის შეხვედრა. გადაიდო, აგრეთვე, ხოროვეც-ლიტინსკაიას, ჩელუშკინა-ახშარუმოვასა და სახატოვა-რაუსეს პარტიები.

11 ტურის შემდეგ ლიდერობენ ირინა ჩელუშკინა (ლვოვი) და სვეტლანა მატვეევა (ფრუნზე) — 7-7 (1-1), ქეთევან არახამია — 7, ნანა იოსელიანი — 6,5 (1), გულნარა სახატოვა (ალმა-ათა) — 6 (1), ანდა შაფრანსკა (რიგა) — 6, თამარ ხუგაშვილს 5 ქულა და ორი გადადებული პარტია აქვს, ელენა ახმილოვსკაიას — 4,5 (1).

ჰოკეი

მოსკოვი. როგორც ცნობილია, 16-21 დეკემბერს ჩატარდება ჰოკეისტთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი გაზეთ „იზვესტიას“ პრიზზე. შეჯიბრების დამთავრების შემდეგ ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართება საინტერესო შეხვედრა სსრ კავშირისა და ევროპის ნაკრებ გუნდებს შორის.

ოლიმპიურ მერიდიანზე

კუვეიტი. 1985 წელს აქ ჩატარდება აფრიკა-აზიის ქვეყნების პირველი თამაშები, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ამ ორი კონტინენტის უძლიერესი სპორტსმენები. ამასთან დაკავშირებით აზიის ქვეყნების ოლიმპიური საბჭოს 37-მა დელეგატმა გადაწყვიტა, ამ ორგანიზაციის შტაბ-ბინა კუვეიტში მოაწყოს.

კალეიდოსკოპი

კორტინა დ' ამპეცო. იტალიის ეს საკურორტო ქალაქი 1992 წლის ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთ შესაძლო მასპინძლად არის დასახელებული. ოლიმპიადის მასპინძლობა სურთ აგრეთვე ბერხტესგადენს (გფრ), ფალუნს (შვეცია) და ვალ დ' იზერს (საფრანგეთი).

ტოკიო. აზიის ქვეყნების ოლიმპიური საბჭოს წარმომადგენლის განცხადებით, 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშების დედაქალაქ საპოროში ჩატარდება 1986 წლის აზიის ქვეყნების პირველი ზამთრის თამაშები.

მძლეოსნობა

გასულ კვირას ნიუ-იორკის ქუჩებში გაიმართა ტრადიციული მარათონი. ეს პოპულარული ასპარეზობა, რომელშიც ათასობით სპორტსმენი და რბენის მოყვარული მონაწილეობს, მუდამ მაღალი შედეგებით გამოირჩევა და მსოფლიოს წინანდელი მიღწევაც, რომელიც ახლახან ჩიკაგოში გაუმჯობესდა, მის ტრასაზე იყო ნაჩვენები. ამჯერად კი გამარჯვებულმა, იტალიელმა სპორტსმენმა ო. პიცოლატომ ძალზე მოკრძალებული შედეგი — 2:14.51 აჩვენა. მეორე და მესამე ადგილზე ინგლისელი დ. მერფი (2:15.36) და გფრ-ს წარმომადგენელი ჰ. შტეფნი (2:16.22) გავიდნენ.

კალეიდოსკოპი

შედარებით უკეთესად იასპარეზეს ქალებმა. სახელგანთქმულმა ნორვეგიელმა მორბენალმა გრეტე ვაიცმა უძნელესი დისტანცია 2:29.30 დაფარა და მეშვიდედ გახდა ნიუ-იორკის მარათონის გამარჯვებული. ინგლისელმა ვ. მაროტმა მეორე ადგილი დაიკავა — 2:33.58, ხოლო იტალიელმა ლ. ფოლიმ — მესამე (2:37.25).

სურათზე: გრეტე ვაიცი ფინიშის შემდეგ.

ჩოგბურთი

ჰონკონგში გაიმართა „გრან პრის“ პროგრამით გათვალისწინებული დიდი საერთაშორისო ტურნირი. 28 ოქტომბერს, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ეკვადორელი ანდრეს გომესი და ჩეხოსლოვაკიელი ტომაშ შმიდი. გაიმარჯვა გომესმა — 6:3, 6:2.

ინგლისის ქალაქ ბრაიტონში ჩატარებულ ქალთა საერთაშორისო ასპარეზობის ნახევარფინალური შეხვედრები ასე დამთავრდა: ჯოან რასელი (აშშ) — ანდრეა ტემეშვარი (უნგრეთი) 7:6, 6:7, 6:2, სილვია ჰანიკა (გფრ) — პასკალ პარადი (საფრანგეთი) —7:6, 6:2. ფინალში ჰანიკამ დაძაბულ ბრძოლაში სძლია რასელს — 6:3, 1:6, 6:2 და მთავარი პრიზი მოიპოვა. მიმომხილველები განსაკუთრებით აღნიშნავენ 18 წლის ფრანგი ჩოგბურთელის პასკალ პარადის კარგ თამაშს.

კალათბურთი

პარიზი. 1 ნოემბერს ცსკა-ს კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე წრის მატჩში საფრანგეთის ქალაქ ლიმოჟის გუნდს უმასპინძლებს (განმეორებითი შეხვედრა გაიმართება ერთი კვირის შემდეგ). „ლიმოჟმა“ ეროვნული ჩემპიონატის ბოლო მატჩში დაამარცხა „შალანის“ კლუბი — 114:99.

ფეხბურთის მოყვარულთა საყურადღებოდ

თბილისის „დინამოსა“ და დონის როსტოვის არმიელთა გუნდის სათადარიგო შემადგენლობათა საკავშირო გათამაშების კალენდარული მატჩი ფეხბურთში გაიმართება 1 ნოემბერს თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე.

დასაწყისი 15 საათსა და 30 წუთზე.

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 20 ოქტომბერს გამართული „სპორტლოტოს“ მორიგი, 42-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49“-დან: გაიყიდა 483 524 ბარათი.

ექვსი ციფრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10 ათასი მანეთია, ხუთისთვის (18 ბარათი) 2449, ოთხისთვის (842 ბარათი)—51, სამისთვის (16012 ბრათი) —3.

„სპორტლოტო 5 36“-დან: გაიყიდა 3 747 730 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (48 ბარათი) მოგება 4 686 მანეთია, ოთხისთვის (3 964 ბარათი) 108, სამისთვის (94 251 ბარათი) — 5.

რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩეჩილაძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ჭავჭავაძის პრ. № 74)
31 ოქტომბერი
ფეხბურთი
ამხანაგური მატჩი
სსრ კავშირის
ახალგაზრდული ნაკრები —
„ლოკომოტივი“ (თბილისი).
დასაწყისი 16 ს.

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის საგზაო საბჭო და სამბოს რესპუბლიკური ფედერაცია იუწყება, რომ ტრაგიკულად დაიღუპა სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში

მერაბ მოსეს ძე არაბული

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. № 14.
ტელეგრამებისათვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52,
წერილების განყოფილება — 93-97-55.
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი
ინდექსია
66436

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი ლენინის ქ. № 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22. უე 07466